ფრე "დნეპრთან"

დნეპროპეტროვსკი. "მეტეორის" სტადიონი. 19 ოქტომბერი.

"დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) – "დინამო" (თბილისი) 0:0.

"დნეპრი": კოლტუნი, კრავჩუკი, პილიპჩუკი (შელესტი), ნაიდა, ბოგდანოვი, სოლოვიოვი, შნეიდერმანი, იაკოვლევი, მასლოვი, ხრისტიანი (რომანიუკი), პორკუიანი.

"დინამო": იმნაძე, ძოძუაშვილი, ჭელიძე, ებრალიძე, ხინჩაგაშვილი, მ. მაჩაიძე, ქორიძე, ესებუა, გუცაევი, გ. მაჩაიძე, დარასელია.

მსაჯი: ვ. ლიპატოვი (მოსკოვი).

საკავშირო ჩემპიონატის ამ ეტაპზე, როცა ფინიშამდე სულ რაღაც 3–4 ტური დარჩა ჩასატარებელი, "დნეპრი" ერთ–ერთი მათგანია, ვისაც სრული შესაძლებლობა აქვს იბრძოლოს საპრიზო ადგილზე გასასვლელად, ან უეფა–ს ტურნირში თამაშის უფლების მოსაპოვებლად. ამ მიზნის მისაღწევად დნეპროპეტროვსკელებს აუცილებლად სჭირდებოდათ 2 ქულის აღება სწორედ ამ მატჩში, საკუთარ მინდორზე. მათ ასეც დაიწყეს თამაში: გაძლიერებული იერიშებით, მაღალ ტემპში, ნახევარდაცვის ხაზის აქტიური მოძრაობით.

დინამოელებმა მიიღეს ეს ტემპი და მინდორზე საინტერესო, დაძაბული ბრძოლა გაჩაღდა. რამდენიმე ძალზე სახიფათო მომენტი შექმნეს "დნეპრის" თავდამსხმელებმა ხრისტიანმა, პორკუიანმა, საპასუხო კონტრშეტევებისას ანგარიშის გახსნის შესაძლებლობა ჰქონდათ თბილისელებსაც. კერძოდ, ერთ–ერთ მომენტში მ. მაჩაიძის მიერ დარტყმული ბურთი კარის ხაზიდან გამოიტანა ნაიდამ.

ტაიმის დასასრულს ტემპმა ოდნავ იკლო, მაგრამ შესვენების შემდეგ მასპინძლებმა ისევ განაახლეს იერიშები, "დინამოს" დაცვა კვლავ სრული დატვირთვით მოქმედებდა, რამდენიმე ძნელი ბურთი აიღო იმნაძემ. შემდგომში მდგომარეობა თანდათან გათანაბრდა, მატჩის დასასრულს კი კარის უხიფათობაზე ზრუნვა უკვე დნეპროპეტროვსკელებს მოუხდათ. 69–ე წუთზე კარი ისევ ნაიდამ იხსნა, ბურთის გატანის შესაძლებლობა მიეცათ გუცაევს, დარასელიას, მ. მაჩაიძეს.

საბოლოოდ, ვერც ერთმა მხარემ ვერ შეძლო წარმატების მიღწევა და მეტოქეებმა თანაბრად გაიყვეს ქულები.

"ლელო", 21 ოქტომბერი, 1975 წ.